ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 71

ქალაქი ქუთაისი 27 მაისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის
25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №136-№140 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღარია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. № 71
28.05.2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის
№71 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივა-ტიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პი-რობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახ-დის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
136	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ავტომშე-ნებლის გამზირი, №43-ის მიმდებარედ	167	03.01.23.946	100.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში
137	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ავტომშე-ნებლის გამზირი, №92-ის დასავლეთით	287	03.01.21.404	60.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში
138	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ მეორის ქუჩის II შესახვევი, №8ა-ს ჩრდილოეთით	5008	03.06.24.333	60.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში
139	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა საბას ქუჩა, №20-ის მიმდებარედ	187	29.09.45.678	60.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში
140	არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, №17-ის დასავლეთით	793	03.04.29.547	145.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭილევარია